№ 105. 18 მაისი, კვირა — 1866—1880 — 18 მაისი, კვირა. № 105

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ალექსანდრის ბაღთან, სასახლის ქუჩის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ორბელიანის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

**რადგან კვირასა და ორშაბათს სტამბის ყველა მუშებს სამღვდელო დღესასწაული აქვთ, ამის გამო სამშაბათს გაზეთი ვერ გამოვა.**

## ტელეგრამმები

—

(საალხთო მორის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 15 მაისს. გაზეთს „*Daily News*“-ში დაბეჭდილია ქაბულიდამ მიღებული დეპეშა, რომ ბრიტანიის კამისიამ ავღანის ემირობა შეამლია აბდურახმანს; მაგრამ აბდურახმანს ამ წინადადებაზედ ჯერ გარდაწყვეტილი პასუხი არ მიუცია.

**ლონდონი**, 16 მაისს. ზემოხსენებულსავე გაზეთში ვკითხულობთ თეირანიდამ მოსულს ტელეგრამმას, რომ თურქმენების სარდალი ნურბერდი 15 მაისს მოკვდა თეკეში.

---

### სამღვდელოებამაც თავის მხრით...

ტფილისი, 17 მაისს.

ყველა წოდების ხალხი, თავადი, აზნაური, დიდი და პატარა ებრძვის ამ ჟამად კალიას.

ამბობენ მხოლოთ, რომ ზოგან გლეხები ამ ბრძოლას, კალიის გაწყვეტის საქმეს ეჭვის თვალით უყურებენო. ამბობენო, რომ კალია ღვთისაგან მოვლენილი რისხვა და უბედურება არისო, იმის წინაამდეგ ბრძოლა ღვთის წინაამდეგობა და წყენა არისო. ათასიც ვქლიტოთ, თუ ღმერთს არა ჰნებავს, არა გამოვალთ. ვერას დავაკლებთო!

ზოგან, გვწერენ, ქადაგებიც გამოჩენილან, რომელნიც არწმუნებენ ხალხს, რომ ღმერთი არ გაგიწყრეთ კალიას ხელი არ ახლოთო, თორემ ღმერთი გაგირისხდებათო და სხვ. და სხვ.

ამ შემთხვევაში მხოლოთ სამღვდელოებას შეუძლიან დაეხმაროს ხალხს; მხოლოთ მღვდელთ შეუძლიანთ ქადაგებითა და მამობრივის სიტყვით, დარიგებით დააჯერონ ხალხი, რომ კალიის გაწყვეტა ღვთის საამებელი საქმე თუ არა, საწყენი მაინც არასოდეს არ არის და არც შეიძლება, რომ იქნეს.

ეკკლესიებში, სასოფლო კრებებზე, ყველგან უნდა უქადაგოს სამღვდელოებამ ხალხს რომ ეს მავნებელი და დამღუპავი ცრუ-მორწმუნოება აღმოფხვრან და სამუდამოთ მოსპონ.

სხვით თუ არაფრით, ამით მაინც უნდა დაეხმაროს ჩვენი სამღვდელოება გაჭირებულ ქვეყანასა და ხალხს. მატერიალურად შემწეობას ჩვენს სამღვდელოებას ვერავინ ვერ მოსთხოვს, რადგან ის უამისოდაც ღარიბი და შეუძლოა. მაგრამ სიტყვით, ქადაგებით დახმარება და ცრუ მორწმუნობის ამოფხვრა კი იმის პირ-დაპირი მოვალეობა და ამ ზნეობით მოვალეობის აღსრულებას ყველა მოსთხოვს და სიმართლეც გვაქვს მოვსთხოვოთ.

თუ ძველად, საქართველოს გაჭირების დღეს, სამღვდელოება მუდამ წინა მძღვარი იყო მტრის წინაამდეგ გალაშქრებულის ერობისა, თუ ძველათ სამღვდელოება მონაწილე და თანამოზიარე იყო ხალხის ყოველ საზოგადო ჭირში და ლხინში, ახლანდელს ჩვენს სამღვდელოებას რაღა დაემართა? რად შორდება ის ასე ხალხს, იმის ცხოვრებას, იმის ჭირსა და ლხინს რად იშორებს თავიდამ? რატომ არ უნდა, ჭირი შუაში გაუყოს და ლხინი ერთი-ორად გაუხადოს.

ჩვენ ეს ვიცით, რომ ვინც ჭირში და ლხინში ხალხს გვერდით არ ამოუდგება და იმის ბედს არ გაინაწილებს, იმას ეკარგება ხალხის პატივისცემა, სიყვარული და ნდობა, იმას ეკარგება გავლენა ხალხზედ.

ნუ თუ ამ მდგომარეობამდინ უნდა მივიდეს ჩვენი სამღვდელოება?!..

### ახალი ამბები

—

ქასპიდამ გვატყობინებენ, რომ კალიას სტანციის მახლობლად თითქმის სულ ყველაფერი მოუჭამია. ათას კაცამდინ მუშა ადგია მუდამ დღეს კალიის საჟლეტათაო, ბორის მაზრის უფროსის თანაშემწე ზანსევიჩი და ერთი აგრონომიც აქ არიანო, მაგრამ იმდენი კალია გაჩნდა, რომ ბევრს ვერაფერს აკლებენო.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ მისს მაღალყოვლად უსამღვდელოებას საქართველოს ეგზარხოსს იოანნიკეს თფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად უფ. ჟორდანია დაუმტკიცებია.

***

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა საზოგადოების კრების დროს წარსულ კვირას ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოზს ალექსანდრეს გამოუგზავნია ხუთი თუმანი ფული სასარგებლოდ თავად-აზნაურთა შკოლისათვის.

სწორეთ საკვირველია და სამაგალითო ჩვენი პატივცემული არქიერის მოქმედება. ისე წელიწადი არ გავა, რომ ასი და ორასი თუმანი ფული არ შესწიროს რაიმე კეთილი საქმისათვის. ამას წინეთ ქალების სასულიერო სასწავლებელს შესწირა სამასი თუმანი, ქართული გალობის აღდგენის საქმეც ხომ მისგანვე შეწირული ფულებით დაიწყო. სარწმუნო პირები ამბობენ, რომ ეპისკოპოზს ალექსანდრეს თავის სიცოცხლეში ოცი ათასი მანეთი მაინც მოუხმარებია საზოგადო საქმისათვისო. თავის-თავს თურმე ყველაფერს აკლებს, მარტივი ბერივითა სცხოვრობს, რომ რა არის უფრო მომეტებული ფული გადაანარჩუნოს თავის მცირე ჯამაგირს მოყვასთათვის და საზოგადო სიკეთისათვის... მეათედ ქართველობას რომ ნახევრობით მაინც ასე შესტკიოდეს გული ქვეყნისათვის, ჩვენი ბედი წამლა დატრიალდებოდა...

***

საზოგადოთ ქართლიდამ წელს ძა-

---

## ფელტონი

—

### საკვირაო საუბარი

ყველა დიდი და პატარა ერთის ნაღვლიანის ფიქრით დაიარება, ღვიძავს კალია აგონდება, სძინავს და სიზმარში ხედავს. გაზეთები, საზოგადოება, მთელი ხალხი, მმართებლობა და ადმინისტრაცია სულ კალიის ფიქრშია. ყველანი ამას ლაპარაკობენ, სად გამოსულა კიდევ და კიდევ, როგორ მუშაობს ხალხი, სად მოუხერხებიათ გაწყვეტა, რა წაახდინა, რამდენი წაახდინა და სხვა და სხვა. ყველას ზრუნვა ეტყობა სახეზე და გულში რაღაცა მძიმე ნაღველი უჩნდება.

***

რა შემაძრწუნებელ სანახავს ხედავდა კაცი მაისის 8-სა, ხუთშაბათს, წმინდა იაკობის წყლის გამოტანაზე და ლიტონიაზე! მთელი ქალაქის დუქნები ხალხის ნება-ყოფლობით დაიკეტა. დილიდამ დიდი მოძრაობა დაიწყო სომხის ვანქის ეკკლესიისკენ, სადაც სწირავდა დროებით ჩამოსული იერუსალემის ეპისკოპოზი იერემია. ეკკლესიის გალავანს გარეთ, გალავანში და თვით ეკკლესიაში ტევა აღარ იყო.

ათ საათზე წირვა გათავდა და ეპისკოპოზმა მოკლე სიტყვა უთხრა მრევლსა:

„სარწმუნოებამ აქ მოგიყვანა ლალადებისათვის. იწამეთ, რომ ეს კალია მოგვევლინა, როგორც ფარაონს, ჩვენი ცოდვის რისხვად“. მოისმის ქვითინი კაცებისა და დედაკაცებისა. თითონ ეპისკოპოზი ტირის და ამაღლებს ხმასა: „მოინანიეთ ცოდვანი და შევედრეთ ღმერთსა წყალობა მოიღოს თქვენ უბედურებაში“. თითქმის მთელი ეკკლესია გრგვინავს ქვითქვითით ტირილითა.

ნეტავი გენახათ რა სახე ედვა მრთელ მრევლსა! ამისთანა სანახაობას ძრიელ იშვიათად ნახავს კაცი.

გულ-შემუსრვილი, დამდაბლებული, წელ-მოწყვეტილი, ყოვლის ღონისაგან მიხდილი დგას ტაძარში ამოდენა ხალხი კაცი თუ ქალი, არც სახე შერჩენია, არც გონება. მხოლოდ ერთი სიმწარე უძლურებისა, განწირულებისა და შეუწევნელობისა ეხატება სახეზე. სხვა აღარაფერი, აღარაფერი!

გული გიკვდება ამ კაცის მდგომარეობაზე, რომ ეს გვირგვინი ქმნულებისა, ეს უფალი ქვეყნისა, ეს გონება მშვენივრად აღფრთოვანებული ისეთივე უძლური რჩება ერთი გოჯის ოდენა ჭიასთან, როგორც ფარაონების, დროს ამ რამდენიმე ათასის წლის წინად იყო! საბრალო ადამიანო, საბრალო!

***

ამ სახალხო მწუხარებას თითქოს ბუნებაც ეთანხმებოდეს; ხშირი ღრუბლიანი დღეები ამ გაზაფხულს დამალონებელ შემოდგომის დღებს ემსგავსება. ითო-ოროლ დღეს ცა იწმინდება და სიცხეები დგება, თითქოს გვაგონებს, არ დაივიწყო ზაფხულდებაო; მაგრამ ისევე მოიღრუბლება და წვიმას დაიწყებს.

წვიმა არაფერია, ნეტავი სეტყვა არ გადმოუშვას როგორც გავლილ კვირას მოვიდა. ჭიზიყისკენ ვენახები კიდეც დაუსეტყვავს და თავისი ჩაუდენია.

მაგრამ ეს წვიმები სიკეთეს ბევრს მოგვცემს. გლეხი ხალხი ფეტვისა და სიმინდის თესვას შესდგომია, იცის გამოცდილებით, რომ კალიას ეს ფეტვი გადარჩება. საქმე იმაში მდგომარეობს, კალიის დასახოცად გასულია მინდორში და სცდება ფეტვის და სიმინდის თესვასა.

ამის გამო სოფლის ხალხი ორ-

ლიან უხვიმოსავლის იმედს გვწერენ. ყანები მშვენიერები არისო, ბალახი ისეთს ხრიაკ ალაგებზე ამოვიდა, ხშირი წვიმების წყალობით, სადაც არასოდეს არ ყოფილაო, ერთის სიტყვით, თუ კალიამ არ გაგვიფუჭა ნამუშევარი, წელს ძალიან კარგი მოსავალი გვექნება და ხალხი ცოტათი მაინც სულს მოიბრუნებს ამ საშინელის მძიმე წელიწადის შემდეგაო. მაგრამ კალიისაგან ერთობ დაშინებული არის ხალხიო.

* * *

გაზეთს „მშაკში“ ნახიჩევნიდამ იწერებიან, რომ ფუთი ფქვილი ამას წინათ აქ 9 მანეთად ისყიდებოდაო; ამ სიძვირის გამო ბევრმა აქაურ ჩარჩებმა სხვა ქვეყნებში იყიდეს ფქვილი ჩამოიტანეს აქ და ვისაც დღემდინ დამალული ჰქონდათ, იმათაც ბაზარში გამოიტანესო და ამის გამო ფქვილის ფასი უეცრად 5 მანეთამდინ და ახლა $4^{1}/_{2}$-მდინ დავარდაო.

## თფ. ოლქის სამღვდელოება *)

კრება, როგორც მკითხველმაც უკვე იცის, მოხდა 14 მაისს.

თავმჯდომარედ დახურული კენჭის-ყრით ამოირჩიეს მღ. პ. ტოკაევი (ოსი), საქმის მწარმოებლად მღ. ზუმბულიძე.

პირველი დილის სხდომა ამით გათავდა, რადგან ამორჩეული პირების დამტკიცებაზედ ქაღალდი ექსარხოსს წარუდგინეს. საღამოს 7 საათზე სხდომა კიდევ გაიხსნა. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას ზედამხედველის ადგილზე კანდიდატების ამორჩევა და წაიკითხა თხოვნა იმ პირთა, რომელთაც ჰსურდათ ყოფილიყვნენ ამორჩეულნი ამ თანამდებობაზედ. ამისთანა მსურველნი აღმოჩნდნენ ექვსნი: ხელაშვილი, რომელსაც კენჭი არ უყარეს, რადგან ის თანამდებობაშია, სინაისკი, ჟორდანია, ლომაური, ფაორსკი და სტენკოვსკი. ამათში 12 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 2 ამორჩეულ იქმნა თ. ჟორდანია, რომლის დამტკიცება ყოვლად სამღვდელო ექსარხოსს უკვე უნებებია (16 მაისს).

ზედამხედველის ამორჩევის შემდეგ განიხილეს ნადზირატლების თხოვნა ჯამაგირის მომატებაზე, მაგრამ სამღვდელოებამ არ შეიწყნარა ეს თხოვნა სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. ამის შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა ქართულის ენის მასწავლებლის ბ. დეკანოზოვის თხოვნა ჯამაგირის მომატებაზე. კრებამ გადასწყვიტა: მიეცეს ბ. დეკანოზოვს 43 მანეთი წელიწადში მისი ჯამაგირის (250 მ.) გარდა. მერე მოჰხსენდათ სასწავლებლის მართველობის ქაღალდი შესახებ იმისა, რომ უფროსი მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი მომავალ სეკტემბრიდამ თავს ანებებს თავის თანამდებობასო და მის ადგილას აკადემიის კანდიდატს გამოვიწერთო, თუ ამ კანდიდატს კრება დაუნიშნავს მომეტებულს ჯამაგირს და პენსიის წყაროს აღმოუჩენსო. ეს კითხვა, იმ მოსაზრების შემდეგ, რომ მოსამზადებელ კლასისთვის საჭიროა არა მაღალი განათლება და ფილოსოფიური მსჯელობა, არამედ პირველ-დაწყებითი მეთოდიკა და დიდაქტიკა, გვარიანი ცოდნა დედა-ენისა, გადასწყდა მით, რომ სამღვდელოებამ ერთხმად სთხოვა უფროსი კლასის მასწავლებელს დარჩომა იმავე თანამდებობაზე.

შემდეგ მასწავლებლებს უარი უთხრეს შესახებ სახლის ფულის დანიშვნისა მათთვის სასწავლებლის მმართველობისაგან. წარმოდგენილი სმეტა განიხილეს და შეამცირეს რამდენიმე მუხლი გასავლისა. ამის შემდეგ აღძრეს კითხვა სასწავლებლისთვის სახლის შოვნაზე. ამაზე ორი გვარი აზრი იყო: ზოგს უნდოდა სახლისთვის ადგილი ეშოვნათ და თვითონვე აეშენებინათ, ზოგს კიდევ აშენებული სახლის ყიდვა. გაგზავნეს სამი დეპუტატი აშენებული სახლების გასაშინჯად; დეპუტატებს მოეწონათ ამიროვის შენობა, კუკიაში, ალექსანდრო-ნევსკის ეკკლესიის გვერდით მყოფი. ეს შენობა ღირს 50,000 მ. სამღვდელოებას ჯერ-ჯერობით აქვს 20,000 მანეთი. თვით არქიელმაც გაშინჯა ეს შენობა და ძალიან მოეწონა, მაგრამ კრებამ მაინც ვერ გაბედა ყიდვა. დანიშნა კომისია ოთხი პირისაგან, რომელნიც არიან თ. დ. ჟორდანია ა. პ. არდაზიანი, მღ. იმნაძე, მღ. არდაზიანი. ამათ უნდა გაშინჯონ სხვა შენობებიც ქალაქში და თუ არ მოეწონათ არც ამიროვის სახლი და არც სხვა, მაშინ უნდა იყიდონ შენობისათვის ცარიელი ადგილი და შეუდგნენ პლანით სახლის აშენებას. კომმისიამ თავისი მინდობილება, უეჭველად, მომავალ სეკტემბრამდინ უნდა გაათავოს. ამით გაათავა სამღვდელოებამ საღამოს, 16 მაისის სხდომაზე თავისი საქმეები და 17 მაისს დილით ხელი მოაწერეს ჟურნილზე და ექსარხოსს წარუდგინეს დასამტკიცებლად. სხდომა დაიხურა დილის 11 საათზე.

—

საზოგადოთ ამ კრებამ ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. თითქმის ყოველ კითხვაში მ.მ. დეპუტატებმა გამოიჩინეს ფხიზელი და კრიტიკული შეხედულობა. საქმეს იძიებდნენ, კარგათ შინჯავდნენ, ცნობებსა ჰკრებდნენ და შემდეგა სწყვეტდნენ კიდეც ამიტომ წავიდა გონიერად ამ კრების საქმე და კეთილადაც დაბოლოვდა.

ფ.

*) თფილისის ოლქში შედის: თფილისის, დუშეთის, კავკავის უეზდები, ერევნის, ელიზავეტოპოლის და ბაქოს გუბერნიები.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ქუთაისი, 12 მაისს.** ამასწინათაც მოგახსენეთ ზოგიერთი ახირებული წესები ქუთაისის საქალებო გიმნაზიისა და ეხლაც მინდა ამაზედ ორიოდე სიტყვა ვსთქვა. აქაურს საქალებო გიმნაზიაში, მოგეხსენებათ არის პანსიონიც, სადაც იზდებიან ქალები, ზოგი სახელმწიფო ხარჯით, ზოგი სხვა და სხვა პირებისაგან დანიშნულის სტიპენდიით და ზოგიც თავიანთის ხარჯით, რისთვისაც იხდიან წელიწადში თვრამეტს თუ ცხრამეტს თუმანს.

წასულს წელს, კენჭით შეხვდა დაჭერა ერთის ალაგისა ამ პანსიონში ქუთაისში მცხოვრების აზნ. დ. კანდელაკის ქალს. დედ-მამა, როგორც ღარიბი და წვრილ-შვილის პატრონნი, დიდ მხიარულებას მიეცნენ ამ შემთხვევით, მაგრამ ისე თქვენს მტერს, როგორც იმათ მალე დამწარდათ ეს სიამოვნება.

არას ვიტყვით იმაზედ—თუ ამ ქალს როგორ ასწავლიდნენ,—სწავლა ხომ საყოველთაოთ ერთ ნაირი არის. მინდა ვსთქვა მხოლოთ ქალის ყურის გდებაზედ და ავათმყოფობის დროს მოვლაზედ:

რვას ამ თვეს, საღამოს, გიმნაზიაში მივიდა მამა ქალის სანახავათ; ყმაწვილი წინ შეხვდა. მამამ ნახა, რომ ქალს ძრიელ ცუდი ფერი აქვს და იმისაგან შეიტყო, რომ თავი მტკივა და გულს მერევა საშინლადაო. მამა მაშინვე შეეხვეწა ნაჩალნიცას, გამატანეთ სახლში ყმაწვილიო. მაგრამ არც ამან და არც ყმაწვილის კლასის მასწავლებელ ქალმაც არ შაიწყნარეს იმისი თხოვნა.

— თქვენმა ქალმა დღეს „ედინიცა“ მიიღო და იმის მიზეზით იგონებს ავათმყოფობასაო.

მამამაც იფიქრა, იქნება მართლა იგონებდესო (რადგან ცოტათ განებივრებული ჰყავდა) და წამოვიდა. მეორე დღეს დედა მივიდა. და რაღას ნახავს?—შვილმა დედა ველარ იცნო. მოუვლელობისა და მიუხედაობის გამო ყმაწვილს თავში ანთება ავარდნოლა და უგრძნობლათ ეგდო.. გამწარებული მშობელი მივარდა ნაჩალ-

წყალ-შუაა. სახოცათ არ გავიდეს, კალია გამრავლდება და სულ ერთიანათ გადასჭამს ჭირნახულს; გავიდეს და მაინც იქნება დარჩეს და მოსჭამოს ქერი და პური და უფეტვოთაც დარჩეს. აი რა მდგომარეობაშია.

* * *

პარასკევს სოლოლაკის კლდეზე ქალაქის ციხის კედელთან მოჩანდნენ მუშები, რომელნიც თურმე კალიასა ხოცავდნენ და ორმებში ჰფლავდნენ. ეს მუშები ორმოცამდე ყოფილან ფულით დაჭერილები. ქალაქის ხალხი კი თამაშას ვუყურებდით.

ნუ თუ ქალაქის ხალხი არ უნდა გავიდეს დიღმის, ნავთლუღის, საბურთალოს და კრწანისის მინდვრებში სამუშაოთა და ასე თამაშას უნდა უყურებდეს ან სოფლის ამბებს ლაპარაკობდეს და კითხულობდეს: გლეხკაცობა და მებატონეები ასე და ამ გვარათ მუშაობენ თურმე კალიის ხოცვაზედაო? სირცხვილია, ღმერთმანი, სირცხვილია. ერთი დღე რომ დუქნები დაიკეტა და ვანქიდამ ავლაბრის სერებზე დიდებით გავიდა, ხალხი განა ამის მეტის საქმის გაკეთება არ შეუძლია ამოდენა ქალაქსა, რომელშიაც ასი ათასი სული ითვლება?! ქალაქის არე-მარეში რომ კალია დარჩეს, მართალია ქალაქის სახლებს და კედლებს ვერაფერს ვერ დააკლებს; ყანებსა და მინდვრებს მოედება და ესეც ქალაქის ზიანი არ იქნება?

მაგრამ მოქალაქეების თვალი ქალაქის კედლებს იქით ვერაფეს ვერა ხედავს. მოქალაქეების ფიქრით ქალაქის გარეშემო მინდვრებშიაც მცხეთისა და დიღმის ან კუმისისა და თელეთის გლეხებმა უნდა იმუშაონ. ბარაქალლა ამისთანა მოქალაქობას!

* * *

ქალაქი რაზეა მოცლილი? ამ ორიოდ კვირას ლაპარაკი გაიმართა „მშაკის“ სტატიაზე, რომლის შინაარსი და ამაზე ლაპარაკი ქალაქის რჩევაში „დროების“ მკითხველებმა უკვე იციან. გავლილ კვირასა და ამ კვირას, ესე იგი ორჯელ ლაპარაკი იყო ქალაქის რჩევაში. რა გამოვიდა ამ ლაპარაკიდამ? ხალხი ხორცის სიძვირეს ქალაქის გამგეობას აბრალებსო. ეს ტყუილია, რადგანაც სიძვირე ყველგან არისო. კეთილი.

მაგრამ აბა იმას მაინც ყური უგდონ ქალაქის რჩევამ და გამგეობამ, რომ ტაქცია გირვანქაზე თორმეტი კაპეიკია და ამ ფასათ კი ვერავინ ვერ ყიდულობს სამ შაურ ნაკლებ.

მეორე ლაპარაკი თევზის გამოუსვლელობაზეა. ქალაქის კაცი და უთევზობა ძნელი საფიქრებელია! სალიანიდამ ამბავი მოსულა, რომ ამ გაზაფხულს წყალ-დიდობის გამო თევზი არ გამოსულაო და წრეულს უთევზოთა ვრჩებითო; შენი მტერი იქნება, ჩვენი ყოფა იყოსო!

თითქოს და ამის მეტათ არ მომხდარიყოს ამისთანა საქმე! თევზის ჭერა ერთი გაზაფხულობით არის, ერთიც შემოდგომის დასასრულს და ზამთრის დაწყებაში. გაზაფხულს გამოდის თართი, ზუთხი და ამ გვარები; შემოდგომას ორაგული, შამაია და სხვა. მაშასადამე წასულს და მომავალს შემოდგომას დაჭერილი თევზი გვექნება.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ახლა თევზის იჯარა სხვა რიგათ უნდა ეძლიოს, სხვა პირობითა, ერთს კაცს კი არა, როგორც ადრე იყო, არამედ თვრამეტ ნაწილათ გაიყოს და თითო კაცს ორი ნაწილის მეტის იჯარა არ შეუძლია აიღოს.

ახლა, რასაკვირველია, მოიჯარადრეები სხვა-და-სხვა ხმას დაავდებენ, აგება იჯარაში არავინ არ შევიდესო და ჩვენ დაგვრჩესო. სულ ტყუილი ანგარიშები კია.

ასე ამ გვარათ ქალაქმა ხორცის სიძვირის ამბავი მოინელა და ახლა თევზის სიძვირის ფიქრშია. აი ჩვენი ქალაქი!..

ანჩხატელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიცასთან; არ ინახულა, და შემოუთვალა:

— რადგან შენი შვილი კარგათ არ სწავლობს და ეხლა კიდევ ავათმყოფობას იგონებს, ამისათვის არა თუ ეხლა, არამედ სანამ ეგზამენ ებ არ გათავდება, მანამ სახში არ გამოუშვებთო...

რა ჰქნას დედამ? ხედავს, რომ შვილი აქ მოუვლელობით და უექიმობით მოუკვდება, რადგანც სწამებენ მოგონებას; წყალიც ვერ უშოვნია, რომ ანთებიანისათვის პირი გაესველებინა. როგორც იქნა დიდის გასაჭირით, კ-ნა პელ. წერეთლის საშვალებით, დაანებეს ცოცხალ-მკვდარი ქალი.

მაგრამ შემდეგ ყველაფერი საშვალება უკვე გვიან იყო: მეორე დღეს ქალი გარდაიცვალა. უკანასკნელი წამები სულ ბოდვასა და ვაი ვაგლახში იყო, რომ „სერაფიმა იმელიანოვნამ ედინიცა დამწერა, სახლში არ გამიშვებს მამას არ მაჩვენებსო“ და სხვა და სხვა.

ძალიან კი მინდა შევიტყო — აქვს გიმნაზიის მთავრობას კანონით ნება და უფლება, რომ მშობლებს, რომლებსაც უკეთ შეუძლიანთ ერთის ავათმყოფ'ს მოუარონ, ვინემც იქ ათსა და თუთხმეტს ავათმყოფს ერთმა ქალმა, ვკითხულობ, აქვს გიმნაზიის მთავრობას ნება არ დაანებოს მშობელს თავის შვილი? თუ სხვა რამ მიზეზების და ჯანისათვის ჩადიან ამგვარ ულთო საქმეს?

ეხლა მიბრძანეთ: რა იმედით უნდა იყვნენ იქ მყოფი ყმაწვილების დედმამა? ანა და რითა სჯობია ამ ჩვენი საცოდავი საქალებო გიმნაზიის ყურის-მგდებელი თქვენი ალექსანდროვის სასწავლებლის ხედამხედველს გ. ზახაროვს.?

მ·

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივ-ცემულს გაზეთში ამ ჩემს პატარა წერილს ადგილი მისცეთ, იქნება მცირე შემსუბუქება რამ ეღირსოთ იმათ ვინც აქ არიან მოხსენებულნი:

ბუშინ შუადღისას, სასეირნოთ დავდიოდი ოსების პოსტისაკენ. უეცრად შემომესმა მრავალი ხალხის ღრიალი, მაღალის ხმით ყვიროდნენ: — „არ ვაპატიებთ, მეტი აღარ შეგვიძლიან!“

ახლოს მივედი, უნდა გამეგო — თუ ვის და რაზედ ჰქონდათ ლაპარაკი. რამდენიმე ხანმა რომ გაიარა, გამოვიდა ოსების სოტნის კამანდირი თ. უ—ოვი გაჯავრებული, თან გამოჰყვა ოსებთაგანი ერთი ჯვრიანი ყმაწვილი კაცი და რაღაცას ჩუმად ლაპარაკობდნენ. ესენი რომ გაცილდნენ, ყველა ოსებიც გამოვიდნენ კარებზედ. მივედი და ვკითხე ხმაურობის მიზეზი. ერთმა მათგანმა მიამბო შემდეგი:

„ბატონო, დაწერილებით რომ მოგახსენოთ ჩვენი მწუხარეობა, საღამომდინ ვერ გავათავებთ. რაც ჩვენი პოლკი შეადგინეს, მას უკან თუმცა ბევრჯელ მოვიწადინებთ, რომ გაგვეგო ჩვენი ჯამაგირი, თუ თვეში თითო ვსადნიკს რა ეძლეოდა ხაზინიდამ, მაგრამ დღევანდელ დღემდინ ვერა გავიგეთ-რა.

„ღვინობის თვიდამ მარტის თხუთმეტამდინ სამი სოტნა ოსის ცხენოსანი ირიცხებოდა და სამი სოტნის მაგიერათ ას-სამოცი კაცის მეტი არ იმყოფება; ხაზინიდამ კი სამი სოტნის ჯამაგირები გამოჰქონდათ!

„ამ ექვს თვეს შიმშილით ვიხოცებოდით ცხენით და კაცით ამ სიძვირეში. ვისაც ვეცხლის იარაღი ებადა, გაჰყიდეს და შესჭამეს, ზოგიც თვეში თუმანზე ორ და სამ მანეთს სარგებელს ვაძლევდით აქაურ ვაჭრებს, ესე რომ დღეს მასხარათაც აგვიგდეს: თქვენთვის ხაზინიდამ დანიშნულის ჯამაგირის მოთხოვნაც არ შეგიძლიანთო.

„თითონ პოლკის კამანდირი ბ. ი—ნი თფილისში არხეინათ და ქეიფით ბრძანდებოდა; თუმცა ბევრჯელ ტელეგრამმით ვაცნობეთ ჩვენი მწუხარება, მაგრამ სრულებით ყურადღება არ მოგვაქცია. ქაზნაჩეისთან ანუ სოტნის კამანდირთან თუ მივიდოდით, ოთახის კარებს დაგვიკეტავდნენ და სათითაოთ ჯოხით ტყავს გვაძრობდნენ.

„დღეს კამანდირი გამოიცვალა და მადლობაც აღარავის გვითხრა; ჩვენზე გამოსული ჯვრები იმისთანა პირებს მისცა ქრთამით, რომლებიც სრულებით არ ყოფილან და არც გაუგიათ — თუ ომიანობა რომელ კუთხეს იყო; ჩვენთაგანი კი იმისთანა პირები დარჩა, რომლებსაც ჩხუბის დროს მტრის ტყვიისაგან მუხლები და ხელები დაშავებული აქვთ და თავის ცოლ-შვილისათვის აღარაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიანთ. მაგალითად თავის პრიკასჩიკს დ—ნოვს მისცა ჯვარი, რომელსაცა დღეს სირცხვილით ვერ იკიდებს და ჯიბეში დაათრევს.

„ყველა ამაზე ჩვენი ოსური სისხლი აგვერია, გულმა ველარ მოგვითმინა და აქაურ გუბერნატორთან ვიჩივლეთ ქალალდით. ეს მესამე დღეა, მალ-მალე მოდის უ—ოვი და გვეუბნება, გაჩუმდითო, თორემ თქვენთვის კარგი არ არის, თქვენიდამ რამთენიმე პირი ციმბირს ამაზე გაიგზავნებაო. ეხლა ჩვენ უპასუხეთ, რომ ნამდვილათ ვიცოდეთ, რომ სათითაოდ დაგვხვრეტენ თოფით, მაინც ვიდრე ჩვენს სიმართლეს და საჩივარს არ დავამტკიცბეთ ი—ნზე, მანამ არც გავჩუმდებით და არც თავს დავანებებთ, რადგანაც ასე მთელი ოსეთის ხალხი ბრიყვათ დაგვთვალა, ექვს თვეს და და შვიდ თვეს რომ რჩებოდა ჩვენი ჯამაგირი მისაღები, დარიგების დროს დახედავდნენ და თუ იმისთანა პირს ნახამდნენ, რომ ჩივილს ვერ შეიძლებსო, იმას ზოგს ერთი თვისას აკლებდნენ, ზოგს ორის თვისას და თანაც იძახდნენ, მადლობელი არა ხართ, რომ ამდენ ჯამაგირს გაძლევთო! ისეთი მუნათით გვაყვედრიდნენ, თითქოს თავიანთი ჯიბიდამ გვაძლევდნენ...“

მგონია, ბატ. რედაქტორო, ეს გარემოება ღირსია გამოძიებისა და თუ ყველა ეს ნაამბობი ორის ვსადნიკისა მართალია, დამნაშავენი, უეჭველია, ღირსნი არიან კანონიერად მოპყრობისა.

ბათუმელი.

ბათუმი, 11 მაისს.

## უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ინგლისის დედოფლის სატახტო სიტყვის პასუხზე (ადრესზე) სჯა ჰქონიათ ქვემო პალატაში. სერ ნორზსკოტს ამ სჯის დროს, სხვათა შორის, უთქვამს, რომ იმას მოსწონს მმართებლობისაგან გამოცხადებული გარეშე პოლიტიკა, მაგრამ სასურველია, რომ აიხსნებოდეს, თუ რა უფლება აქვს მინიჭებული ბ. გოშენს. გრენვილლმა წარმოსთქვა, რომ მმართებლობის სურვილიაო გეშენის საშუალებით სისრულეში მოიყვანოს ბერლინის ტრაქტატის ჯერეც შეუსრულებელნი მუხლები. ახლანდელ საპოლიტიკო საქმეებში, გრენვილლის აზრით, უაღრესნი არიან საბერძნეთის და ჩერნოგორიის საზღვრების საქმე და სომხეთში რეფორმების შემოღება. გლადსტონს უთქვამს იმისთანა შემცდარი აზრები არის ევროპაში გავრცელებულიო, რომ მათი ახსნა ერთობ სასურველია ევროპის და ოსმალეთის ინტერესებისათვისო. ოსმალეთს ჰგონია, რომ მისი დაცვა ინგლისისათვის დიდი არსებითადი, საკუთარი ინტერესია, და ამიტომაც რა ნაირადაც უნდა მოეპყროს მან თავის ქვეშევრდომებს, რა რიგიც უნდა იყოს მისი შინაგანი მდგომარეობა, მისი აზრით, ყოველთვის შეუძლია საბოლოოდ ინგლისისაგან მოელოდეს დახმარებას. ამ აზრს ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებითო. მეორე შემცდარი აზრი ის არის, რომ ოსმალეთი ჰგონებს, ვითომც ინგლისს ჰსურდეს აზიაში იმისი უზენაესი უფლების დარღვევა. ინგლისის სურვილია მხოლოდ, რომ ოსმალეთმა თავის ხელ-შეკრულობანი შეასრულოს, — თორემ იმისი საზღვრების შემცირება მას სრულიადაც არ უნდა. ოსმალეთი რომ შეიძლებდეს და ხონთქრის და მისს ქვეშევრდომების შუა თანხმობას ჩამოაგდებდეს, მაშინ ინგლისი ასრულებულად დაინახავდა თავის წადილს.

—

ამ დღეებში ბ. გლადსტონს წერილი გაუგზავნია ყოფილს პირველ მინისტრის ბეკონსფილდისათვის. მოგვყავს ერთი ალაგი ამ წერილიდამ:

„ჰგონიათ, ვითომც მე მტრულის და შურის-ძიებითი; გრძობით ვიყავ გართხმული თქვენი ლორდობის წინაამდეგ. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ამ რიგი გრძობანი მე არავისდამი არ მქონია. მე ყოველთვის მსურდა რომ წარმართულიყო თქვენი ძნელი საქმე — საქმე იმპერიის დამკვიდრებისა. მე ვგრძნობ უგულითადეს პატივისცემას თქვენს ლორდობისადმი და იმედი მაქვს, რომ ახლა როცა გზელგმძღვანელობ თქვენივე პოლიტიკით (მივიღე თქვენი პოლიტიკა) მისი სრული წარჩინება ღირსეულად და საპატიოდ აღნიშნავს ჩემი მმართველობის დროს.“

—

„რეიტერის საგენტოს“ აცნობებენ სტამბოლიდამ შემდეგსა: ლორდ გრენვილმა ინსტრუქციები გაუგზავნა ოსმალეთში ინგლისის ყველა დესპანებს, რომ ისინი სტამბოლში შეიკრიბნონ ინგლისის ახალ ელჩთან გოშენთან ერთად რჩევისათვის.

—

ალბანიელებსავით მაკედონელებიც სცდილობენ ახლა რომ თავიანთ სამშობლოს დამოუკიდებლობა მოუპოვონ. ამ დღეებში ისინი ელჩებს გაგზავნიან სტამბოლში, რომელთაც გაეტანებათ ამ საქმის თაობაზე ვრცლად შედგენილი წერილი.

—

გაზეთის „*Daily News*“ შეუტყვია, რომ გლადსტონის მეორე ნოტა საჭიროდ ჰრაცხავს ბერლინში სახალხთა-შორისო კომმისიის მოწვევას საბერძნეთის და ოსმალეთის შორის საზღვრის გაყვანის შესახებ.

—

რადგანაც საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე მარტელი ავათმყოფობის გამო სამსახურიდამ გამოვიდა, ამიტომაც რვა (20) მაისს სხდომის დროს სენატს გადაუწყვეტია, რომ ახალ-თავმჯდომარის ამორჩევა მომავალ სამშაბათს მოხდეს.

—

„ჰავასის საგენტოს“ ლონდონიდამ აცნობებენ, რომ ყველა სახელმწიფოები დათანხმდენ ამ მოკლე ხანში სტამბოლში კონფერინციის მოწვევაზეო.

—

ჩვიდმეტს (ხუთს) მაისს ლორდ ბეკონსფილდი უინძორში დედოფალთან მისულა სანახავად და მეორე დღეს ლონდონში დაბრუნებულა.

—

ხანგრძლივ ბაასის შემდეგ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა საჯარო კრების წესდების 9 § ცვლილება, უმეტესობით 245-სა 190 ხმაზე. ეს ცვლილება წარმოდგენილი იყო მმართებლობისაგან. შეცვლილი 9§ ძალით ამიერიდამ საჯარო კრებებში დაესწრებიან მმართებლობის წარმომადგენელნი, რომელთაც კანონისაგან განსაზღვრულ შემთხვევაში კრების გაფრთხილების და დათხოვნის ნება ექნებათ. ეს ცვლილება მიიღეს იუსტიციის მინისტრის ბ. ქაზოს სიტყვის შემდეგ, და ამის მერე აგრეთვე

ბ. მენის დამატებითი მუხლი, რომლის ძალითაც საარჩევანო კრებებმა მმართებლობის ზემოთქმული სთანა წარმომადგენელებს ნება არა აქვსთ დაესწრონ.

# განცხადებანი

—

თფილისის ოკრუჟნის სუდის მეექვის დროებითს განყოფილებაში ქ. თელავში არიან დანიშნული მოსასმენელად შემდგომნი საქმენი:

1.) 3 თიბათვეს, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **ქვემო-ხოდაშნის** მამულების გამიჯვნის დროსა;

2.) 10 თიბათვეს, — იმ დავებისა, რომელიც აღმოჩნდნენ სოფლის **ბუშატის** მამულების გამიჯვნის დროსა;

3.) 12 თიბათვეს, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **ვანთის** მამულების გამიჯვნის დროსა

4.) 14 თიბათვის, — იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის **აკურის** მამულების გამიჯვნის დროსა;

5.) 17 თიბათვეს, — იმ დავებისა, რომლებიც ამღმოჩნდნენ სოფლის **რჩეულეთის** (იგივე არის **ბოსტანა**) და **ხორხელის** მამულების გამიჯვნის დროსა;

6.) 19 თიბათვის, — იმ დავებისა რომლე- ბიც აღმოჩნდნენ სოფლის **ალმატის** მამულების გაყოფის დროსა;

7.) 23 თიბათვეს, — იმ დავებისა რომლებიც აღმოჩნდნენ სოფლის ვაჩნაძიანის მამულები გამიჯვნის დროსა.

(3—2)

---

იყიდება არწრუნის ქარვასლაში ინგლისის მაღაზიაში: პალტო 12 მანეთიდამ 24-მდინ, მთელი წყვილი ტანისამოსი 5-დამ 25-მდინ; ტრიკო, ბუმაზეია და პარუსინა ახლა 75 კაპ. არშინა და დრაპი 2 მანეთიდამ; პოდნოსები, გასაღებები 10 კაპ., წყლის დასაწმენდი ქვები 4—40 მან., თოფები უკანიდამ გასატენი 35 მანეთი და მეტი; ჩულქები და წინდები 8 მან., უნაგირები—25 მანეთი და მეტი, 25,000 გირვანქა ჩაი პირ-და-პირ ჩინეთიდამ 1 მან. და 10 კაპ. და საუკეთესო 2 მან. გირვანქა, დიდ-ძალი კრავატები 5 მანეთიდამ 75 მანეთამდინ; საუკეთესო ხერესი 1 მან. 40 კაპ., შამპანის ღვინო—3 მან. ბოთლი და სხვ.

(25—24)

---







მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

## გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარშინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარშინსკი.

(25—9)

---

სავაჭრო სახლი

## იაგორ კასუმოვი და ამხ.

ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელნიც „სავაჭრო ს. ხლში“ შესანახავად ფულს შემოიტანენ, დღეის შემდეგ ახალ გამოცხადებამდინ,

აძლევს:

1) მიმდინარე ანგარიშით (ტეკუშჩი სჩოტით) შეტანილს ფულზედ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უპირობოთ და პირობით | — | — | — | — | — | $4^1/_2$% |
| მოთხოვნამდინ | | | — | — | — | $4^1/_2$% |
| 2) ვადით შეტანილს ფულზე: | 6 თვით | | — | — | | 6% |
| | 9 თვით | | — | — | | $6^1/_2$% |
| | 1 წლით | | — | — | | $7^1/_2$% |
| | $1^1/_2$ წლით | | — | — | | 8% |
| | 2 და მეტი წლით | | | | | $8^1/_2$% |

3) სპეციალურ შეტანილ ფულებზედ 1 ხარისხის პაისჩიკებს—9%

ფულის გასესხების დროს „სავაჭრო სახლი“ აძლევინებს:

იმ სესხზედ, რომელიც თვეობით უნდა იქნეს გარდახდილი—10%

კვირაობით გარდასახდელ სესხზე — — 9%

სავაჭრო სახლის კანტორა იმყოფება ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვების სახლში. შესანახავად მიტანილ ფულის მისაღებად და ადებულის ვალის შემოსატანად კანტორა ღია მუდამ დღე დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ; უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ 10-მდინ.

(10—1)

---

მთავარი კანტორა

სავაჭრო სახლის

## იაგორ კასუმოვი და ამხ.

აცხადებს საზოგადოებას, რომ ვისაც სურს იყიდოს **პირველი და მეორე, შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთები** შეუძლიან მიმართოს ამ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები ისყიდება ძალიან კარგის პირობებით, მთელის წლის განმავალობაში ნაწილ-ნაწილად ფულის შემოტანით.

კანტორა თვითონაც ჰყიდულობს აგრეთვე ზემოხსენებულ შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს.

უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან სავაჭრო სახლის კანტორაში, ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(10—6)

---

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ნოქალაქევის სამკურნალო წყლები** უწყებული თვისის მკურნალეობითა აღწერილობისა-მებრ დოკტორის პლეშკოვსკისა და სხვა ცნობაებით, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სენაკის მაზრაში სოფელს ნოქალაქევს, 18 ვერსტზედ დაბა ახალ-სენაკიდამ (სტანცია რკინის გზისა) უკანასკნელის 20 წლის განმავალობაში იყო მივარდნილი, უპატრონოთ მიტოვებული, ახლა კი ეს წყლები ჩემს განკარგულებაში არის საიჯარადროდ და კიდევაც მოყვანილია მადნის წყალი სრულს წესიერებაში. ეს სამკურნალო წყალი სხვა წყლებთაგან განყოფილია და აყვანილია მილის საშვალობით 10 არშინზედ და გაშენებულია აუზები (ვანნები).

მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ აღნიშნულის წყლებით ფრიად ზომიერის ფასით და მრთელის ჰაერით, რომლითაც გამოჩენილია ნოქალაქევი.

მეორე გილდის ვაჭარი

ივანე ლაზარის ძე გვიშიანი.

( შ.) (12—6)

---

## ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა გამოიწვევს მსურველთ ქალაქის ფარნების იჯარით განათებისას; სულ 1,400 ფარანი უნდა გინათოს კერაინით ამ ივლისის თვის 4-დამ სამის წლის ვადით ვიდრე 1883 წლის 4 ივლისამდინ.

ვაჭრობა დაიწყება ამ იჯარისა იქნება მაისის 27-ს ქალაქის გამგეობის თანა-დასწრებით.

ვისაც ამ იჯარის აღებაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, დაწვრილებით პირობების (კანდიციების) ნახვა შეუძლიანთ გამგეობის უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღე გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ.

ვაჭრობა, პირადათ შეიძლება და შეიძლება აგრეთვე, დაბეჭდილი კონვერტითაც გამოგზავნა პირობებისა.

(6—5)

---

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა** აცნობებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ კვირას, 25 მაისს, დილის 12 საათზე, თბილისის სააღგილმამულო ბანკის ზალაში იქნება საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო ყრილობა.

ყრილობის მოსასმენი საგნები არის:

1) მიღება საზოგადოების ნამდვილ წევრათ შემოსვლის მსურველთა.

2) ამორჩევა წევრთა-დამფუძნებელთა.

3) წარმავალი წლის ანგარიშის მოსმენა.

4) მომავალი წლის სმეტის დამტკიცება.

იმ წევრთა, რომელთაც არ შემოუტანიათ ამ წელში შემოსატანი ფული, სთხოვენ დააჩქარონ ამ ფულის გამოგზავნა. ადრესსი: *Тифлисъ. Дворянскій земельный банкъ. Казначею Общества Грамотности кн. И. Г. Мачабели.*

(5—5)

---

ახლანდელ დიდს

## გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსასხურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შრიოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილობუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—13)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი